# მსოფლიოს ქვეყნებში

## კანადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოცდაათი სახელმწიფო მიიღებს მონაწილეობას მსოფლიო გამოფენაში „ექსპო-67", რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე მონრეალში გაიხსნება.



ნოტრ-დამისა (მარცხნივ) და წმინდა ელენეს კუნძულები, რომლებზეც განლაგდება „ექსპო-67" მონაწილე ქვეყნების პავილიონები



სსრ კავშირის პავილიონის მშენებლობა მონრეალის მსოფლიო გამოფენაზე



ასეთი ორიგინალური კონსტრუქციის კოშკი უნდა აშენდეს მონრეალში. კოშკში მოთავსდება სასტუმრო, კაფე-რესტორანი და დანსინგი. არაჩვეულებრივი სასტუმროს ზედა სართული ჩინებული სათვალთვალო მოედანი იქნება

# მსოფლიოს ქვეყნებში

## საფრანგეთი



პარიზის ცენტრალური ქუჩა—ელისეს მინდვრები.

ფურცელი 2

საქდესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ავსტრალია

ავსტრალიაში კვინსლენდის შტატს შაქრის სამოთხეს უწოდებენ. ასობით მილზე გადაჭიმულა აქ შაქრის ლერწმის პლანტაციები. ყველა ფერმერს როდი აქვს შესაძლებლობა ლერწმის ალების სეზონში შეიძინოს კომბაინი. მაშინ ლერწამს ჭრიან ხელით, ხშირად მუშაობს მთელი ოჯახი. მძიმე და მომქანცველია ლერწმის მჭრელთა შრომა. ათ-თორმეტ საათს მუშაობენ ისინი მცხუნვარე მზეში გაოფლილი. ტკბილი კატორღა უწოდა ერთ-ერთმა ავსტრალიელმა ჟურნალისტმა შაქრის ლერწმის მჭრელთა შრომას.



შაქრის ლერწმის პლანტაციები კვინსლენდის შტატში



შაქრის ლერწმის მჭრელი ლესლი კორბსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ქვეყნებში




სამი ათას წელს იდგნენ ერთ ადგილას ნილოსის ნაპირზე ქვის ბუმბერაზები.

ასუანის ზღვას, რომელიც შეიქნა ასუანის მაღლივი კაშხალის მშენებლობის შედეგად, უნდა შთაენთქა აბუ-სიმბელის მშვენიერი ტაძარი. მაგრამ იგი უზარმაზარ ნაჭრებად დაჭრეს და გადაიტანეს უფრო მაღლა ადგილას.

სურათზე: აბუ-სიმბელის დამონტაჟება ახალ ადგილას.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ქალაქ ლუჯინგში გაიმართა სამხედრო ქარხნის მუშაქალებთან სოლიდარობის მასობრივი დემონსტრაცია. ისინი თანაბარი შრომისათვის თანაბარ ანაზღაურებას მოითხოვენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავღანეთის დედაქალაქის ქაბულის ცენტრი.



საქღესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ბანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქ ბანგის ჩრდილო-დასავლეთით 100 კილომეტრზე, ქალაქ ბოალიში აშენებულია სართავ-საქსოვი ფაბრიკა, რომელიც უდიდესი და ჯერჯერობით ერთად-ერთია მთელ ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში. ეს ფაბრიკა ყოველწლიურად ამუშავებს თითქმის 500 ტონა ბოჭკოს და 4 მილიონ მეტრ ქსოვილს. ამ ფაბრიკის ნედლეულია ბამბა, რომელიც მოჰყავთ აქვე ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.

სურათზე. მზა ქსოვილის შეფუთვა.

 საქდესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## იტალია

ეროვნული ბიბლიოთეკა




ზღვის ბარაქა და ადგილობრივ მხატვართა სურათები. ამას იშვიათად როდი შეხვდებით რომის ვიწრო შესახვევებში, სადაც პირდაპირ ქვაფენილზე ჰყიდიან ყველაფერს.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა




დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის ერთ-ერთი ქუჩა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## მექსიკა




ეს უჩვეულო ფორმის შენობა მდებარეობს მექსიკის დედაქალაქ მეხიკოს ცენტრში. ამ შენობაში განლაგებულია ბანკები და სამრეწველო ფირმების კანტორები.

ფურცელი 10

საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ამერიკის შეერთებული შტატები




იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს ცნობით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ლ. ჯონსონის გამოსვლის დროს სარედაქციო სტატიათა ავტორების ეროვნულ კონფერენციაზე, ქუჩებში გაიმართა დემონსტრაცია. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ პლაკატები: „ჯონსონ, გახსოვდეს ნიურნბერგის პროცესი“, „მსხვილი ფირმები მდიდრდებიან, ამერიკელი ჯარისკაცები კი იხოცებიან“.

# მსოფლიოს ქვეყნებში

# ისრაელი

ეროვნული ბიბლიოთეკა




„შეწყდეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა ვიეტნამის საქმეებში", „მოვითხოვთ ამერიკელებმა დაუყოვნებლივ გაიყვანონ ჯარები ვიეტნამიდან", „ვიეტნამი—ვიეტნამელებს". ასეთი ლოზუნგებით გაიმართა თელ-ავივში ისრაელის მშრომელთა დემონსტრაცია ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

სურათზე: დემონსტრანტთა კოლონა თელ-ავივის ცენტრალურ ქუჩაზე.

ფურცელი 12

საქლესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ინგლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისის ყველა უდიდეს ნავსადგურში გამოცხადდა მეზღვაურთა საერთო ეროვნული გაფიცვა. გაფიცვის დაწყებისთანავე 300 გემი, რომლებიც ინგლისის სავაჭრო ფლოტის დაახლოებით მეექვსედ ნაწილს შეადგენენ, დატოვეს ეკიპაჟებმა.

სურათზე: გაფიცვა ლონდონის ნავსადგურში.

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ანგოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელს 5 წელი სრულდება, რაც ანგოლელმა ხალხმა დაიწყო ბრძოლა პორტუგალიელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ. 1961 წელს დაწყებულ აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ანგოლის განთავისუფლებისათვის სახალხო მოძრაობა და ანგოლის მოსახლეობის კავშირი.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გააქტიურეს მოქმედება პარტიზანთა რაზმებმა, რომლებიც უმთავრესად კაბინდის რაიონში და ჩრდილოეთ ანგოლაში იბრძვიან.

სურათზე: კაბინდელი პარტიზანები დასვენების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ქვეყნებში ეკვადორი




ახალგაზრდა მხატვართა ჯგუფმა თავისებური გამოფენა მოაწყო გუაიაკილის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე. მათ თავიანთი სურათე-ბი ჩამოკიდეს ხეებზე. მოლბერტები დადგეს პირდაპირ ქუჩაში და მუშაობდნენ ხალხის თვალწინ.

სურათზე: გამვლელნი უყურებენ, თუ როგორ მუშაობს მანუელ უგარტე.

ფურცელი 15 საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იოკაჰამაში 209 ათასტონიანი სუპერტანკერი „იდემიცუ მარუ" ჩაუშვეს წყალში. ეს გემი დაამზადა ისიკავაჯიმა-ხარიმას ფირმამ. მსოფლიოში უდიდესი ტანკერის სიგრძე 342 მეტრია.

# მსოფლიოს ქვეყნებში

## იორდანია

ეროვნული ბიბლიოთეკა



13 საათის მანძილზე იორდანიის სამხრეთ რაიონებში კოკისპირულად წვიმდა. კოკისპი-რულ წვიმებს მოჰყვა წყალდიდობა, რომელმაც მარტო ქალაქ მაანში იმსხვერპლა 60 კაცი. დაშავდა რამდენიმე ასეული ადამიანი, თითქმის სამი ათასი კაცი უსახლკაროდ დარჩა.

სურათზე: საშველი და აღდგენითი სამუშაოები წყალდიდობის რაიონში.



საქტასას ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## მოლავი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასეთი წესით ფქვავენ სოფლელი ქალები სიმინდს. უფროსი ბავშვები ეხმარებიან დედებს.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

# კოლუმბია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლათინური ამერიკის ამ პატარა ქვეყნის მამაცი ხალხი არ დაყრის იარაღს დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისათვის ბრძოლაში, ამერიკის კაპიტალის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მუშები და გლეხები ავსებენ პარტიზანთა რიგებს, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვიან.

სურათზე: პარტიზანული რაზმი დავალების შესასრულებლად მიდის.



საქლესის ფოტოქრონიკა



საზეიმო დემონსტრაცია ქალაქ კონაკრიში.

# მსოფლიოს ქვეყნებში

## გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



უშიშრად დგას ქალი, რომელსაც პისტოლეტით შეიარაღებული ბანდიტი სიკვდილით ემუქრება. ასეთ სურათებს ხატავენ დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი, რომლებმაც ახლახან მიიღეს სპეციალური დადგენილება ბანკის მუშაკებისა და... ფულადი ანაბრების უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით. თითოეულ მოლარეს უნდა ჰქონდეს ტყვიაგაუმ-ტარი მინისაგან დამზადებული ტიხარი, რომელიც მას კლიენტისაგან გამოჰყოფს.



საქლესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## პაკისტანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაკისტან–საბჭოთა კავშირის მეგობრობის სახლში (ყარაჩი) მნახველებს ყოველთვის შეუძლიათ მიიღონ ახალი საბჭოთა და საზღვარგარეთული ჟურნალ-გაზეთები, ნახონ კინოფილ-მები, მოუსმინონ ლექციას. სახლში გახსნილია ბიბლიოთეკა. მუშაობს რუსული ენის კურსები.

სურათზე: რუსული ენის კურსების მეცადინეობა.

# მსოფლიოს ქვეყნებში

## კუვეიტი

ეროვნული ბიბლიოთეკა




კუვეიტში დიდი მოთხოვნაა რუსი და საბჭოთა მწერლების წიგნებზე

სურათზე: საბჭოთა ლიტერატურის განყოფილება ელ-კუვეიტის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში.



საქლესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## ნორვეგია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოკეანის ნაპირზე მდებარე ამ პატარა დაბის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია თევზთან. გახურებული თევზჭერის დროს მებადურები შინ ბრუნდებიან გემებით, რომლებიც თევზით არის სავსე. ამ დროს დაბის მცხოვრებნი—დიდი თუ პატარა თევზს ამუშავებს.



საქდესის ფოტოქრონიკა

# მსოფლიოს ქვეყნებში

## დაგომეა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დაგომეის ქალაქების ქუჩებში ხშირად შეხვდებით ცხენოსანთა ლამაზად მორთულ ჯგუფებს, რომლებიც დაგომეის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან ეროვნულ დღესასწაულებსა თუ ზეიმებში მონაწილეობისათვის. ტამ-ტამების ტრადიციული ხმები გაისმის ხოლმე, როცა ისინი ასრულებენ თეატრალიზებულ გამოსვლებს და აწყობენ მსვლელობას ქალაქის ქუჩებში.

სურათზე: ბარიბას ტომის ცხენოსანთა ჯგუფი ქალაქ კოტონუს დამოუკიდებლობის მოედანზე.